ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი 1900 წ. № 1258

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

ტელეფონი № 372.

საუკეთესოდ
მოწყობილი
მსწრაფლად მბეჭდავი
სტამბა
წიგნების გამომცემელ
ქართველთა ამხანაგობისა
იღებს ყოველგვარ
სასტამბო საქმეებს
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ
ქუჩ. მარტიროსოვის სახლში.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხ. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურის, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი— თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი — სდოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი —სიფილისის, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ხ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: გუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. პოლკოვნიკ რუტკოვსკის რაზმმა, რომელიც შესდგებოდა მსროლელთა პოლკისა, 6 ზარბაზნისა და 100 ყაზახისაგან, აიღო ლალიენჩენი. მმართველები და მცხოვრებნი მიეგებნენ ჯარს ქალაქს გარედ; გზაზედ მცხოვრებნი მუშაობდნენ ყანებში. ქალაქის მმართველები და ძიან-ძუნის მიერ გამოგზავნილი მოხელენი გაუმასპინძლდნენ რუსების რაზმის ოფიცრებსა და ჯარის კაცებს. ლალიენჩენში პოლკოვნიკ რუტკოვსკის რაზმი შეუერთდა პოლკოვნიკ აიგუსტოვის ჯარს.

კრონშტადტი. ჯავშნიანი გემები „პოლტავა“ და „სევასტოპოლი“ წავიდნენ წყნარ ოკეანეში. საზღვაო სამინისტროს მმართველი ავიდა ორსავე გემზედ, დაათვალიერა ისინი და ოფიცრებსა და ჯარის-კაცთ, გამოთხოვების დროს, უსურვა ყოველივე კეთილი.

პეკინი. ინგლისის ჯარმა დაიჭირა საზაფხულო სასახლე, რომელიც რუსებმა მიატოვეს პეკინიდან წასვლის გამო. ის რკინის გზის ლიანდაგი პეკინიდან ტიან-ძინამდე, სიგრძით 6 მილი, რომელიც რუსებმა შეაკეთეს და რომელსაც აქამდე ფლობდნენ, გუშინ ფორმალურად გარდასცეს გერმანელთა საექსპედიციო რაზმის უფროსს გლაზენაპს. მეორე ნაწილი გარდაეცა ინგლისელთ, რომელნიც გულმოდგინედ შეუდგნენ მისს შეკეთებას. მესამე ნაწილი უჭირავთ იაპონელთ. რუსეთის ჯარებმა შეაკეთეს აგრეთვე უმთავრესი ნაწილი რკინის გზის ლიანდაგისა იანცზუნიდან პეკინამდე, იმ იმედით, რომ შუამდებარე ნაწილი, რომელიც უჭირავთ გერმანელთ, დამთავრებულ იქმნება ნოემბრის პირველ რიცხვებამდე.

კანტონი. კანტონის საიმპერატორო ჯარები დამარცხებულ იქმნენ; მათ მოუკლეს 200 კაცი. სახელმწიფოს შუაგულში ამბოხების გავრცელების შესახებ არაფერი არ ისმის. კაულონის ნახევარ კუნძულისა და დასავლეთ მდინარის მეამბოხენი არავითარს სიძულვილსა და მტრობას არ იჩენენ უცხოელთადმი.

პარიზი. ელისეის სასახლეში მომხდარ ბჭობაზე გადაწყდა პარლამენტი მოწვეულ იქმნას 24 ოქტომბრისათვის.

ვაშინგტონი. კონჯერი დეპეშით იუწყება, რომ ჩინეთის იმპერატორი დაბრუნდება პეკინში ამერიკელ ჯარის მფარველობის ქვეშ.

ტიანძინი. დიპლომატთა კრებამ ერთხმად მიიღო დელკასსეს წინადადებანი. კონჯერი მხოლოდ იმ აზრისა იყო, რომ საფრანგეთის პირობანი უნდა წარედგინოს ჩინელებს მოლაპარაკების დროს. ინგლისისა და იტალიის ელჩებმა მოითხოვეს, რომ ცუნგ-ლი-იამენის მაგივრად დაწესებულ იქმნას გარეშე საქმეთა სამინისტო და რომ ორის წლის განმავლობაში გამოკიდულ იქმნას ბრძანება ევროპიელთა წინააღმდეგ მომხდარ უწესოებათა მეთაურების დასჯის შესახებ. სხვა ელჩები დაეთანხმნენ ამ წინადადებას.

სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ შანხაიდან იტყობინებიან 5 ოქტომბერს (ახ. სტ.): «ჩინეთის მთავრობა საგვირგვლის ენერგიით ემზადება ომისათვის და სიმაგრეებს ამზადებენ საომრად. რადგანაც ჩინეთში ზარბაზნების შეტანა გარედან შეუძლებელია, ამის გამო მეფის მოადგილეს ჩან-ჩინ-ტუნგს მინდობილი აქვს შეაკეთოს ჰან-იანგის თოფხანა. აქ ამბობენ, რომ 4000 ჩინელი მიდის იან-ცე-კიანგით შანხაიში დედოფლის განსათავისუფლებლად.

შანხაიში ყველასა სჯერა, რომ მოკავშირენი ნებას არ მისცემენ მდინარე იან-ცე-კიანგზედ თოფებისა და საომარი იარაღის წაღებისას და ჯარების გადაყვანისას იმ დრომდის, სანამ იმპერატორი არ დაბრუნდება პეკინში. იმასაც ჰფიქრობენ, რომ მოკავშირენი ყოველ-ღონეს იხმარენ დაიცვან დედოფლის წინააღმდეგ ის ჩინელი წარჩინებულნი, რომელნიც უცხოელებთან კეთილ-განწყობილებაში არიან.

შემდეგ იტყობინებიან, რომ ჩინეთის სახელმწიფო სახლობის სინანფუში გაქცევის ამბავმა იაპონიაში საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. აღარავის სწამს ჩინეთის მთავრობის გულ-წრფელობა და სურვილი მშვიდობიანობის ჩამოგდებისა. ჰფიქრობენ, რომ ასეთ პირობებში იაპონია არაფრის გულისათვის არ გაიწვევს ჯარს ჩინეთიდან. ჩინეთის იმპერატორის სახლობის მოგზაურობის შესახებ გაზეთებს შემდეგი დაწვრილებითი ცნობები მოუტყვიათ: 29 სექტემბერს (ახ. სტ.) გამოცემულ იქმნა იმპერატორის ოფიციალური ედიქტი, რომლით ერთგულ ქვეშევრდომთ გამოეცხადათ: იმპერატორის სახლობა 1 ოქტომბერს მიდის ტაიუნფუდან ხორკანში, სადაც უნდა ჰგზავნონ ხოლმე მეფის მოადგილეებმა სახელმწიფო ბაჟი. ჩინეთის წრეებში არსებობს აზრი, რომ იმპერატორის სახლობის სინანფუში წასვლა პრინცი ტუანის, კონგ-ჩანგ-ლიუს და ტუნ-გის საქმეა, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ არეულობის მოსახდენად. ყველა ეს ხმები ეწინააღმდეგება ამერიკის გაზეთების ამბებს, რომელნიც არწმუნებიან, ვითომც ჩინეთს სურვილი ჰქონდეს შეინანოს დანაშაული.

∝ პრეტორიიდან იტყობინებიან, რომ ლორდმა რობერტსმა გამოსცა ახალი პროკლამაცია, რომელშიაც მან გამოუცხადა ტრანსვაალის და ორანჟის ახალშენებს შემდეგი პირობები:

«თავის ნებით დამორჩილებულნი არ იქმნებიან განდევნილნი სამშობლოდან; ხოლო ეს განკარგულება არ შეეხება უცხოელთ, გამოჩენილ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთ და იმათ, რომელთაც უკვე ერთხელ დაურღვევიათ ფიცი. რაზმთა წინამძღოლთ, როცა მათ ჰსურთ დამორჩილება, უნდა შეატყობინონ თავიანთ სურვილი ფელდმარშლის უმთავრესს სადგურს. ფიცის გამტეხთ და შეიარაღებულთ წაერთმევათ მოძრავ-უძრავი მამული და ჩაირიცხება სახელმწიფო ქონებად. ეცხადებათ შეიარაღებულ ბურთა ოჯახებს, რომ თუ დანიშნულ ვადაზედ შეიარაღებულნი არ გამოცხადდებიან უმთავრეს სადგომში, მთელი

მათი ქონება დარჩებათ გამარჯვებულთ.

ბურგერებს ატყობინებენ, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდება მოხდება მაშინ, როცა მათი მეთაურები დამორჩილდებიან და იარაღს გადასცემენ ინგლისელთ. ამის შემდეგ ყველა ტყვეებს მიენიჭებათ თავისუფლება. არ გაანთავისუფლებენ მხოლოდ იმათ, რომელთაც ჰბრალდებათ ომის ატეხა და მასში მხურვალე მონაწილეობის მიღება, და აგრეთვე იმათ, რომელთაც ინგლისელებთან ომის დროს დაარღვიეს სამხედრო კანონები.

ახალი ამბავი

◆ მომავალ თვის მეორე ნახევარში ტფილისში მოწვეულ იქნება **კავკასიის მეაბრეშუმეთა საზოგადო კრება** და გამართულ იქნება **მეაბრეშუმეობის გამოფენა**. რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას მიუმართავს თხოვნით ყველა მაზრის უფროსებისათვის—აცნობეთ ხალხს ეს ამბავი და ხელი შეუწყეთ ყველას, ვინც მოისურვებს კრებასა და გამოფენაში მონაწილეობის მიღებასაო.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, მიჰმართა ადგილობრივ დაწესებულებათ—დანიშნეთ წარმომადგენელნი **მომავალ სამეურნეო გამოფენის** პროგრამმის შესამუშავებლადო. ამ ჟამად უკვე ყველა ამ დაწესებულებათა და პირთ დაუნიშნავთ წარმომადგენელნი; სამეურნეო საზოგადოებას არ მოსვლია ჯერ პასუხი ტფილისის გუბერნატორისაგან და ქალაქებ ქუთაისიდან და ბაქოდან.

◆ სამიწად მოქმედო სამინისტროში აღიძრა კითხვა იმის შესახებ, რომ მომავალ წლის შემოდგომაზე გამართულ იქმნას პეტერბურგში **სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენა**. თუ გავიხსენებთ, რომ მომავალ წელსვე გაიმართება სამრეწველო გამოფენა, ორივე ამ გამოფენამ არ შეიძლება ხელი არ შეუშალონ განზრახულს კავკასიის გამოფენას.

◆ „რუსკია ვედომოსტები“-ს უკანასკნელს №-ში დაბეჭდილია პროფესორი **ალ. ს. ხახანაშვილის საყურადღებო წერილი** იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რომელი დღე უნდა ითვლებოდეს საქართველოს რუსეთთან შეერთების დღედ. ავტორი იმას ამტკიცებს, რომ 100 წლიწადი ამ საისტორიო მოვლენას შეუსრულდება 1900 წლის 28 დეკემბერსო, რადგანაც სწორედ 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მე-XII-ე და იმავე დღიდან იწყება ჯერ დროებითი და შემდეგ კი მუდმივი მართვა-გამგეობა საქართველოსი რუსებისაგანაო.

◆ 3 ოქტომბერს ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს სადგომში მოხდა **კერძო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა**, განსახილველად იმ საკითხებისა, რომელთათვისაც მოწვეულია 7 ოქტომბერს საგანგებო კრება.

◆ დღემდის სოფლებში **სახალხო კითხვათა გამართვის უფლება** მარტო მღვდლებს ეძლეოდათ, როდესაც პასუხის მგებლობას ისინი კისრულობდნენ. ახლა ეს პირობები ბევრად შეუმსუბუქებია მთავრობას. როგორც გაზ. „სარატოვის ფურცელი“ იუწყება, უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორს უცნობებია საერო განათლების სამინისტროსათვის, რომ იგი სასარგებლოდ და თითქმის საჭიროდაც სთვლის—ეს უფლება მღვდლებთან ერთად მიეცეს სოფლის მასწავლებლებსაც, მაგრამ ისე კი, რომ სახალხო კითხვა სარწმუნოებრივ-ზნეობრივს მოძღვრებას ხელს არ უშლიდესო. „ივ.“.

◆ საერო განათლების სამინისტროში მომავალ თვეში განხილულ იქმნება მეტად საყურადღებო კითხვა იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებელთა კურს დამთავრებულთ ნება მიეცეთ **უნივერსიტეტებში შესვლისა** მათემატიკისა და ბუნების მეტყველების ფაკულტეტებზე.

◆ დღეს, 5 ოქტომბერს, ტფილისის გამგეობის სადგომში მოხდება **სხდომა საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიისა**, რომელზედაც განხილულ იქნებიან შემდეგი საკითხები: 1) ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისა და პროფესიონალურ სახელოსნოს ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისათვის; 2) ქ.ბ-ნი ა. მ. წერეთლის თხოვნა იმის შესახებ, რომ შემწეობა აღმოეჩინოს ქალაქისაგან ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ორ უფასო ბიბლიოთეკასა და ვერის საკვირაო სკოლას; 3) სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა კომისიის თხოვნა შემწეობის შესახებ და 4) ბავშვების სამზრუნველო საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ მიეცეს მას ნება ნასადილევს ასწავლონ ხოლმე ავლაბრის საქალებო სასწავლებლის სადგომში იმ ბავშვებს, რომელნიც უადგილობისა გამო მიღებულნი არ იყვნენ წელს საქალაქო პირველ დაწყებით სასწავლებლებში.

◆ 2 ოქტომბერს კავკასიის საექიმო საზოგადოების კრებას სჯა ჰქონდა იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოხდეს **კავკასიის ექიმთა საზოგადო ყრილობა?** ყრილობის მოწვევა განზრახული იყო მომავალ წლის გაზაფხულისათვის; მაგრამ ექიმთა უმრავლესობამ გამოაცხადა — უმჯობესი იქმნება შემოდგომაზე მოხდეს ეს ყრილობა, როდესაც განზრახულია საქართველოს რუსეთთან შეერთების დღესასწაულიო.

◆ ტფილისის 1-ლ და მე-2 საქალებო გიმნაზიებში განთავისუფლდა **6 ქალაქის სტიპენდია**. ამ სტიპენდიების დასანიშნავად 6 ოქტომბერს მოხდება კენჭის ყრა.

◆ ტფილისის საქალაქო სასანიტარო და საექიმო ინსპექტორს უკვე შეუდგენია და წარუდგენია გამგეობისათვის მომავალი წლის **ხარჯთ-აღრიცხვა**. ამ ხარჯთ-აღრიცხვიდან სჩანს, რომ მომავალი წლისათვის ქალაქის საექიმო-სასანიტარო ნაწილს დასჭირდება სულ 17,980 მან., 2,400 მანათით მეტი, ვიდრე წელს.

◆ ლეჩხუმში და სვანეთში ამ ჟამად **შიმშილი** მძვინვარებს. საჭიროა დახმარება, რადგან ადგილობრივ საექიმო ნაწილი მეტად სუსტია და დიდს საქმეს ვერ გაუძლევს.

◆ ამ ჟამად გზათა სამინისტროში არდგენენ პროექტს, რომ ყველა რკინის გზებზე დაარსებულ იქმნას **მომრავი საავადმყოფოები**. განზრახულია ყველა რკინის გზებზე იქონიონ საგანგებოდ დამზადებული ვაგონები კრაოტებით მძიმე ავადმყოფთა მოგზაურობისათვის.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ სვანეთიდან, რომ გამუდმებულ წვიმების გამო იქ **ცუდ მოსავალს** მოელიან. მთიან ადგილებში, მაგალითად სოფლებ უშკულსა, კალსა, იპარსსა, ადიშსა და გულში, სადაც უკვე დიდი თოვლი მოვიდა, პური სრულიად გაფუჭდა.

◆ ხევსურეთში, როგორც „კავკაზ“-ს სწერენ, **დიდი თოვლი მოსულა** და სრულიად გაუფუჭებია პურის ნათესი. ადგილობრივი ადმინისტრაცია შეუდგა ზარალის გამოანგარიშების საქმეს.

◆ ქ. დუშეთიდან „ტფილ. ფურცელს“ ატყობინებენ, რომ იქ 25 წარსულს სექტემბერს მოხდა **ამორჩევები** ქალაქის რწმუნებულთა და მათ კანდიდატთა 1900—1904 წ. ქალაქის რწმუნებულებად არჩეულ იქმნენ: ს. ზანდუკელი, [illegible], მ. ტერტეროვი, მ. დაფქვიაშვილი, გ. კორინთელი, ალ. აბაზოვი, ვ. თუჯიევი, შადინოვი, ზ. თაბორიძე, გ. აპრიამოვი და ა. მარტიროსოვი; მათ კანდიდატებად: ე. ყარანგოზიშვილი, გ. გოგიევი, ნ. ბარათაშვილი, ი. როინაშვილი და ი. ეშკოვი.

◆ გუშინ, 4 ოქტომბერს, შესრულდა 35 წლიწადი, რაც არსებობს **პირუტყვთა მფარველი** რუსეთის საზოგადოება.

◆ ამ ჟამად მზადდება და 1-ლ იანვრიდან ხმარებაში შემოღებულ იქმნება ახალის ნიმუშის **საფოსტო მარკები** 7 და 14 კაპეიკიანი.

◆ „მთავრობის კანონთა ᲓᲐ განკარგულებათა კრებული“-ს უკანასკნელ №-ში (№ 112) დაბეჭდილია ცნობა ქუთაისის საქალაქო **პოლიციის გაძლიერების** შესახებ.

◆ **რუსეთის არტისტებისა და სცენის მოღვაწეთა** მეორე საზოგადო ყრილობა განზრახულია მოახდინონ წელს დიდმარხვაში.

◆ სოჩის ნორმალურ სასწავლებელში არსდება თანამდებობა სასწავლებლის **საბაღო მზრუნველისა**.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის ბრძანებით, ხელ-მეორედ მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც **იჯარით უნდა გაიცეს** ტფილისის მეჩითის მამულები ავლაბრის ხიდთან 9 წლის ვადით. ვაჭრობა დაიწყება 6,500 მანათიდან.

◆ მგზავრთა მიმოსვლა ამიერ კავკასიის რკინის გზის ქიათურის შტოზე შესამჩნევად იზრდება. 1899 წ. ამ გზით უმოგზავრია 10,0878 კაცს, წლეულს კი, 6 თვის განმავლობაში, —68,688 კაცს, ამასთან უფრო მეტი მოძრაობა ყოფილა მარტში; ამ თვეში 15,072 მგზავრი წასულა. შუათანა რიცხვით დღეში 486 მგზავრი. შემდეგისთვის განზრახულია მატარებლების მომატება.

◆ სოფ. მუკუზანიდან სასოფლო სამმართველო გადააქვთ სოფელ **გვლისცახეში**.

◆ მოგვივიდა მეათე წიგნი რუსული ჟურნალის „Кавк. Вѣст.“, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია შემდეგი წერილები: „კავკასიის მუსიკა“, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები ვ. დ. ყ—სა; „საქართველოს ისტორიიდან და საქართველოს რუსეთთან შეერთების ეპოქიდან ეტიუდები“ მ. გლუშა-

კოეისა (გაგრძელება); „ქუთაისის მარგანეცის მწარმოებელთა მესამე კრება“ ა. მდივანისა;; „შარდენის მოგზაურობა კავკასიაში“ (გაგრძელება) და სხვ.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

სამშაბათს, 3 ოქტომბერს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრება დაიწყო საზოგადოების საპატიო წევრის ბ-ნ ვ. ნ. გეევსკის თავმჯდომარებით საღამოს 8½ საათზე, 22 წევრის დასწრებით. პირველად კრებამ განიხილა საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებული საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად მომავალ 1901 წილს განზრახულ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისათვის პროგრამა. კრებამ დაადგინა დაინიშნოს 15 ოქტომბრისათვის პროგრამის შესამუშავებლად კავკასიის სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც საბოლოვოდ იქნება შემუშავებული პროგრამა და შემდეგ წარედგინება საზოგადოების პრეზიდენტს კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს განსახილველად. საბოლოვოდ შემუშავებულ დამთავრებულს პროგრამასა და წეს სამეურნეო საზოგადოების საბჭო წარუდგენს სამინისტროს დასამტკიცებლად.

საზოგადოების საბჭოს მიერ შედგენილის წესით გამოფენის საქმეებს უნდა განაგებდეს განსაკუთრებული გამგე კომიტეტი; კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ იქმნება კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი და თავჯდომარედ სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი. თავჯდომარის ამხანაგი ამორჩეულ იქნება კომიტეტის წევრთა შორის. კომიტეტის საპატიო წევრებად დაინიშნება 14 კაცი შემდეგს დაწესებულებათაგან: კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისაგან, კავკასიის მთავარ-მართებლისაგან, რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებისაგან, სამოსწავლო უწყებისაგან, საუფლისწულო უწყებისაგან, მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულისაგან, ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან, ნავთის მრეწველთა კრებისაგან, ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტისაგან და სამთო მმართველობისაგან. კომიტეტის ყოველივე განკარგულებას ასრულებს გამოფენის კომისარი, მდივანი და ხაზინადარი; გამოფენის ხაზინადრად იქმნება სამეურნეო საზოგადოების ხაზინადარი ბ-ნი ა. ბ. ევანგულოვი. გამოფენის კომისარს ეყოლება სამი ამხანაგი, რომელთაგანაც ერთი უნდა განაგებდეს გამოფენის შენობებს, მეორე—სამეურნეო ნაწილს, ხოლო მესამე — ექსპონატების მიღების საქმეს. გამოფენის თვითოეულს განყოფილებას ეყოლება გამგე ორის ამხანაგით. კრებამ ამ დღესვე, თავმჯდომარის წინადადების თანახმად, დაადგინა ეხლავე შეუდგნენ საზოგადოების ორმოც და ათის წლის მოღვაწეობის ისტორიულ მიმოხილვის შედგენას, რისთვისაც გადასდო 800 მანეთი. მიმოხილვის შედგენა დაევალა საზოგადოების მდივანს ბ ნ ი. ო. იოსელიანს, რომელიც პირდაპირ თვისის მოვალეობის ასრულებლად მიიწვევს ერთს თანაშემწეს. ისტორიული მიმოხილვა უნდა დამთავრდეს მომავალ 1901 წლის აპრილის თვის დამლევამდე; ეს შრომა შემდეგ დაიბეჭდება საზოგადოების საბჭოს რედაქციით.

თეატრი

ოპერა. 3 ოქტომბერს გუნოს ცნობილს ოპერაში, „ფაუსტ“-ში, ბ-ნ გერასიმენკოს გარდა, რომელიც მღეროდა ვალენტინის როლს, უმთავრეს პარტიების ყველა აღმასრულებელნი პირველად გამოვიდნენ ტფილისის სახაზინო თეატრის სცენაზე—ფაუსტის მარგარიტას და მეფისტოფელის როლებში. ბ-ნი პიკალუგა (ფაუსტი) მღეროდა სრულიად ავადმყოფი და ამიტომ სუსტი იყო. საკვირველია, რატომ არ მოასვენებს ამ არტისტს თეატრის დირექცია? პირველ დღიდან დღემდის ბ-ნი პიკალუგა, როგორც სჩანს, ავად არის და სწორედ საცოდაობაა მისი სცენაზე გამოშვება—ისე უჭირს მაღალი ნოტების აღება. მარგარიტას როლის აღმასრულებელი, ქ. ბ-ნი კუნცოვისა, რიგიანად თამაშობდა; ნამეტურ მოხდენილად შეასრულა მან სცენა ძვირფას თვლების დათვალიერების დროს და აგრეთვე სცენა სასთველთან, რაც შეეხება სიმღერას, ქ. ბ-ნი კუნცოვის ასრულება ვერ იყო მუსიკალური. ბ-ნ სიბირიაკოვზე, რომელიც მეფისტოფელის როლს ასრულებდა, ითქმის სრულიად წინააღმდეგი: იგი მღეროდა კარგად, მისი basso-cantato მშვენივრად შეეფერება მეფისტოფელის როლს; მაგრამ დრამატიულის მხრით ბ. სიბირიაკოვი სუსტი იყო. ყოველ შემთხვევაში, მოვალენი ვართ აღვნიშნოთ, რომ ბ. სიბირიაკოვი სცენაზე შემოსვლის ჟამიდან ოპერის დასასრულამდე მეტად აღელვებული იყო; ეს, ცოტა არ იყოს, ხელს უშლიდა მის თამაშს და ამიტომ გადაჭრილი აზრის გამოთქმა მის მიერ მეფისტოფელის როლის ასრულების შესახებ შემდეგისთვის უნდა გადავდვათ. გატაცებით და მუსიკალურად ასრულა ბ. სიბირიაკოვმა მხოლოდ ცნობილი სერენადა მეფისტოფელისა. დანარჩენ პარტიების აღმასრულებელნი სუსტები იყვნენ. საზოგადოდ, ეს მშვენიერი ოპერა ნაკლების ანსამბლით იყო გუშინწინ დადგმული.

საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

საღამოს დეპეშები

4 ოქტომბერი

პარიზი. დღეს გერმანიის საელჩომ გადასცა მთავრობას გერმანიის პასუხი დელკასეს ნოტაზედ. ზოგიერთი გაზეთები ირწმუნებიან, რომ დელკასემ მიჰმართა სახელმწიფოებს ახალი ნოტათი, რომელშიაც მან თავი მოუყარა ყველა სახელმწიფოთა პასუხებს საფრანგეთის ნოტაზე. ამ მეორე ნოტის შედეგი იქმნებაო სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება და შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორი ინსტრუქციები გაუგზავნოს ყოველმა მათგანმა თავის წარმომადგენელს პეკინში.

ლონდონი. ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ, როგორც ბაკტერიოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში საეჭვო ავადმყოფი შავი ჭირით არა ყოფილა ავად.

ჰააგა. ოფიციალურად გამოიცა დედოფალ ვილჰელმინას მანიფესტი, რომელშიც გამოცხადებულია, რომ დედოფალი ინიშნება ჰერცოგ ჰენრიხ მეკლენბურგ-შვერინელზედ.

ჰონკონგი. ნახევარ კუნძულ კაულუნგუს ახლო მდებარე ადგილებში აჯანყება არ ისპობა. მეამბოხენი მიდიან აღმოსავლეთ მდინარესაკენ. ადმირალი ჯერ არ აპირებს ომის დაწყობას, თუმცა მის ბრძანების ქვეშ იმყოფება 4000 კაცი. ინგლისის რაზმმა მიაღწია საზღვარს და დაიბანაკა.

პეტერბურგი, 3 ოქტომბერი. ბირჟა. 5% გირავნობის ფურც. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა 95½ გამყიდველი, 4½% — 85½ — მყიდველი; 6% გირავნობის ფურც. ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკისა 101½ გამყიდველი, 5% — 95½ გამყიდველი.

პეტერბურგის ბირჟა 3 ოქტომბ.

	მყიდველი.	გამყიდველი	გაყიდული.
	მ ა	ნ ა	თ ი
4% სახელმწიფო რენტა. . . .	—	—	96⅛
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	99½	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	—	96⅞	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ..	330	—	—
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ..	280	—	—
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	213½	—	—
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. .	—	88¼	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ..	—	—	—
4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა	—	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . .	—	—	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა...	—	—	—
5%% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . .	—	—	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . .	—	85½	—

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ზარგადი სალორეთი . 1 » — 10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 «
იგივე თორნის I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯგ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდანზე: კუკიაზე:
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,
1 1 30 1 20

ხორ. წითელი.	1 1 15 კაპ.
ქერი	1—მ.—70 კ.
სიმინდი	1— 65 ——
ფქვილი სოფლისა.	1 1 —20—
» უფრო მდარე.	1 1 51—10
კომბოსტო.	1 — 50——
კარტოფილი.	1 — 55——
ხახვი	1 — 30——
თივა	1 — 25——
ბზე.	1 — 23——

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ სასწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი შესაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

ხარისხი.	ხარისხი.
№ 0—9 მ. — კ.	№ 4—6 მ 75 კ
№ 1—8 » 25 »	№ 5—6 » 50 »
№ 2—7 » 75 »	№ 6—6 » — »
№ 3—7 » 25 »	№ 7—5 » 75 »

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 53 კ. 53 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 54 კ. 55 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 90 კ.

„ ფშხვნილი „ 5 „ »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 6 მ. 20 კ. 8მ. 20 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 45 კ.—4 მ. 15 კ., გარეცხილი—მ. 8 მ. კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. —კ.-მდე.

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ილდიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის. უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სნ[illegible] ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

სწრაფი მატარებელი № 1 ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

სწრაფი მატარებელი № 2 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდაც ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე:—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობის კიოსკში ისტორ. რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან—ივ. ვაზოვისა.

დამონებულნი

თარგმნილი თ. სახოკიას მიერ.—ფასი 1 მან.—ვინც იყიდის არა ნაკლებ ოცის ცალისა წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

სანერგე ამერიკული ვაზებისა
«გალი ქგურული»
სოფ. დიმი, ქუთაისის მაზრა.

გაიყიდება შემოდგომაზედ ამა 1900 წლისა ასი ათასი დამყნილი ამერიკული

ვაზი

ადგილობრივი ჯიშის., სახელდობრ: საფერე, ოცხანური საფერე, კრახუნა, ცოლიკოური, მწვანე, მაღლარი, (ანდასეული) და ევროპიული ჯიშისა: კაბერნე, სემილიონი, პინო და უმეტეს ასი სხვა-და-სხვა ჯიშის სტოლის ღვინოებისა და ამერიკული ნაყოფის მომცემ ვაზებისა. აქვე შეიძლება დაკვეთა სხვა-და-სხვა ამერიკულ და ევროპიულ სანამყენოსი, აგრეთვე დამყნილი და მირეული ვაზებისა 1901 წლისათვის.

წერილების და დეპეშების ადრესი:—ქუთაისი, ვ. ტიებო.
(12 – 3)

ისტორიული ნარკვევი
ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენილი
ალექსანდრე ზუღნიასაგან
მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის
ფასი 1 მ. 50 კაპ.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

წარსული წლების ჟურნალი
მოამბე
გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალის „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალის
მოამბის
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журн. „Моамбе“
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის გამოც. წიგნები
ისყიდება კიოსკში—ქვაშვეთის პირდაპირ.

გამომც. გ. გუნია

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.